კონკურსის დეტალები

<u>საკონკურსო წესები:</u>

1. შემოსული ფოტოებიდან საუკეთესოები წარდგება ფოტო გამოფენაზე 15 დეკემბერს თბილისში. გამოფენა იმოგზაურებს საქართველოს 5 რეგიონში - კახეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და აჭარა.
2. ადამიანის უფლებათა ცენტრს ეძლევა უფლება, შეუზღუდავად გამოიყენოს გამოფენაზე წარდგენილი ფოტო მასალა ადამიანის უფლებების მიზნებისათვის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.
3. ფოტოებთან ერთად, აპლიკანტმა უნდა გამოაგზავნოს (იმეილით ან პირადად მოგვაწოდოს) შევსებული განაცხადის ფორმა.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა.
5. ფოტოები 2008 წელს უნდა იყოს გადაღებული.
6. ფოტო კონკურსის თემატიკა არის ადამიანის უფლებები საქართველოში, როგორიცაა:

   ა) დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების უფლება;
   ბ) გამოხატვის უფლება;
   გ) საკუთრების უფლება;
   დ) დევნილთა უფლებები;
   ე) სამართლიანი არჩევნების უფლება;
   ვ) ბავშვთა უფლებები;
   ზ) უნარშეზღუდულთა უფლებები;
   თ) გარემოს დაცვა/ეკოლოგია;
   ი) ქალთა უფლებები და ა.შ.
7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში მოქმედ ფოტო-ჟურნალისტებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებით მიესალმება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან შემოსულ განაცხადებს.
8. ფოტოგრაფი პასუხისმგებლობას იღებს, რომ მას აქვს წარდგენილი ფოტოების გავრცელების უფლება.
9. აღნიშნული წესების და პირობების დაცვა სავალდებულოა.

<u>განაცხადის წარდგენა</u>

10. ციფრული ფოტოები და სარეგისტრაციო ფორმა გამოაგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე **nino@hridc.org** ან შემდეგ საფოსტო მისამართზე:

ადამიანის უფლებათა ცენტრი
თბილისი, ყაზბეგის გამზ. 3ა, სადარბ. 2, ბინა 22

11. განაცხადები მიიღება **2008 წლის 1 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე.**
12. გამარჯვებული გაირკვევა დაჯილდოვების ცერემონიაზე 15 დეკემბერს.
13. ფოტოებს თან უნდა ახლდეს სიტყვიერი აღწერილობა არაუმეტეს 150 სიტყვისა, თუ სად და რა სიტუაციაშია ფოტო გადაღებული და რა კავშირშია ადამიანის უფლებებთან. ტექსტი შეიძლება იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე.
14. ფოტო რეპორტჟი უნდა მოიცავდეს 3-დან 10 ფოტომდე. ფოტო სერია, რომელიც ამ რაოდენობაზე ნაკლები ან მეტი იქნება არ მიიღება აღნიშნულ კატეგორიაში.
15. ნომინაციებზე - პოსტერი და კადრი ადამიანის უფლებებზე, ავტორს შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 3 ფოტოსი.

16. ფოტოები უნდა იყოს დანომრილი (1, 2, 3, ა.შ.) და ეწეროს კატეგორიის კოდი. ფოტოები, რომებიც ფოტო-რეპორტაჟს ასახავენ, უნდა შეიცავდეს ანბანურ თანმიმდევრობას **A**-დან **J**-მდე და რიგს (მაგ.:A=I ფოტო, B=II ფოტო, C=III ფოტო, ა.შ.)
17. ყოველ ფოტოს უნდა მიენიჭოს კოდი:
    - ფოტო რეპორტაჟი - **A**
    - პოსტერი -**B**
    - ერთი კადრი ადამიანის უფლებებზე - **C**

    მაგალითად: A1, A2, A3, A4… (ფოტორეპორტაჟი);
    B1, B2, B3 (პოსტერი);
    C1, C2, C3 (ერთი კადრი ადამიანის უფლებებზე).
18. ფოტო-ფაილების კოდები უნდა შეესაბამებოდეს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ინფორმაციას.

<u>წარსადგენი მასალები</u>

19. კონკურსში მიიღება ფოტოები მხოლოდ ციფრული სახით.
20. ფოტოები დაიბეჭდება A-2 ან A-3 ფორმატზე. იმისათვის, რომ მოხდეს ფოტოს გადიდება, ყოველი ფოტო უნდა გამოიგზავნოს ცალკე ფაილად JPEG ფორმატში (უმაღლესი ხარისხით).
21. ფოტოს ზომები: კადრის 300 dpi. 3000 pixel (კადრის გრძელი მხარე), jpg შეკუმშვა 10-11.
22. ფოტო რეპორტაჟის და ერთი კადრის ნომინაციაზე წარდგენილი ფოტო მასალის ორიგინალი ფაილის სტრუქტურა არ შეიძლება იყოს შეცვლილი და ციფრული ტექნოლოგიებით მანიპულირებული.
23. ფოტო რეპორტაჟის და ერთი კადრის ნომინაციაზე მიიღება მხოლოდ დაუმუშავებელი სურათები, რომელიც არ შეიცავს კოლაჟებს, კომპიუტერულ ეფექტებს და არ არის დადგმული.

<u>ჯილდოები</u>

24. თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებული დაჯილდოვდება **დიპლომით,** ფულადი ჯილდოთი **300 ევროს** ოდენობით. ასევე გამარჯვებული ფოტოები გამოქვეყნდება ცენტრის ვებ გვერდზე **www.humanrights.ge**
25. ფოტოები შეფასდება მასზე ასახული ფაქტის მნიშვნელობისა ასევე ფოტოს შინაარსობრივი და ტექნიკური მხარის მიხედვით.
26. კვალიფიციური ჟიური გამოავლენს გამარჯვებულს თითოეულ კატეგორიაში.

<u>**საკონტაქტო ინფორმაცია**</u>

ადამიანის უფლებათა ცენტრი
ყაზბეგის გამზ. 3ა, II სადარბ. IV სართ. ბინა 22
ტელ.: 37 69 50; 384648
ელ-ფოსტა: nino@hridc.org
ვებ-გვერდი: www.HumanRights.ge

კონკურსის მხარდამჭერია **შვეიცარიის საელჩო საქართველოში;**